# ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოძიება და შესწავლა




EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

COUNCIL OF EUROPE
75
1949 - 2024
CONSEIL DE L'EUROPE

ეს თარგმანი გამოქვეყნებულია ევროპის საბჭოსა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს შეთანხმებით და თარგმნის სრული პასუხისმგებლობა ეკისრება თარჯიმანს. ტექსტის თარგმანი შესრულდა ევროპის საბჭოს პროექტის „ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში.“

წინამდებარე დოკუმენტის ბეჭდურ, ონლაინ ან ნებისმიერ სხვა ფორმატში, მთლიანად ან ნაწილობრივ რეპროდუცირების და/ან თარგმნის მსურველებმა უნდა მოითხოვონ ავტორიზაცია ონლაინ ფორმის გამოყენებით.

წინამდებარე დოკუმენტის ციტირებისას, გთხოვთ, მიუთითოთ წყარო: “ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოძიება და შესწავლა”.

პუბლიკაციების შესახებ სიახლეებისთვის, გამოიწერეთ სასამართლოს გვერდი X-ზე, https://x.com/ECHR_CEDH ან ბლუსქაიზე, https://bsky.app/profile/echr.coe.int.

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2025 წლის მარტი

# სარჩევი


1. შესავალი .......... 4
   a. თარგმანები .......... 4
   b. სოციალური ქსელები .......... 5
   c. ოფიციალური ტექსტები .......... 5
   d. ბიბლიოთეკა .......... 5
2. HUDOC-ECHR მონაცემთა ბაზა .......... 6
3. სამართლებრივი შეჯამებები .......... 8
4. ECHR-ის ცოდნის გაზიარების პლატფორმა (ECHR-KS) .......... 9
   a. პრეცედენტული სამართლის სახელმძღვანელოები .......... 12
      i. სახელმძღვანელოები კონვენციისა და კონვენციის ოქმების მუხლების მიხედვით .......... 12
      ii. სახელმძღვანელოები გამჭოლი თემების შესახებ .......... 12
   b. საკვანძო თემები .......... 14
   c. განახლებები პრეცედენტული სამართლის შესახებ .......... 15
      i. დიდი პალატის გადაწყვეტილებები და განჩინებები .......... 15
      ii. დიდი პალატის მიმდინარე საქმეები .......... 15
      iii. მიმდინარე სახელმწიფოთაშორისი საქმეები .......... 15
      v. მე-16 ოქმის თანახმად წარდგენილი მოთხოვნები საკონსულტაციო დასკვნის გაცემის თაობაზე .......... 15
      vii. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა .......... 15
      viii. ძირითადი საქმეების კრებული (გადაწყვეტილებები, განჩინებები და სარეკომენდაციო დასკვნები) .......... 17
   d. სასარგებლო მასალები .......... 17
      i. კონვენციის მოსამზადებელი მასალები .......... 17
      ii. ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენები პრეცედენტული სამართლის შესახებ .......... 17
      iii. წიგნების და სტატიების კრებული .......... 18
      iv. ფაქტობრივი მონაცემები .......... 18
   e. სასარგებლო ბმულები .......... 18
5. ევროპული სამართლის სახელმძღვანელოები .......... 18
6. ვიდეოები .......... 20
7. რჩევები, თუ როგორ გამოვიყენოთ ხელმისაწვდომი მასალები ყველაზე ეფექტურად .......... 20
   a. კონკრეტული საქმის მოძიება .......... 20
   b. საქმეების მოძიება მუხლის, საკვანძო სიტყვის ან თემის მიხედვით .......... 20
   c. ინფორმაცია ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეების შესახებ, წლების მიხედვით .......... 20
   d. ინფორმაცია დასაშვებობის კრიტერიუმების შესახებ .......... 21
   e. მასალების მოძებნა ინგლისური და ფრანგულის გარდა სხვა ენაზე .......... 21

# 1. შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მოიცავს სხვადასხვა თემებს, რომლებსაც წარმოშობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების დებულებების გამოყენება.

სასამართლოს რეგისტრატურა აქვეყნებს სხვადასხვა მასალებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს სასამართლოს პრეცედენტული სამართლისა და ოფიციალური ტექსტების შესწავლას.

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიცავს ინფორმაციას სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზის, HUDOC-ECHR -ისა და სხვადასხვა პუბლიკაციების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომია ევროპული სასამართლოს ცოდნის გაზიარების პლატფორმის (ECHR-KS) მთავარ გვერდზე და სასამართლოს ვებგვერდზე.

დოკუმენტი, აგრეთვე, შეიცავს რჩევებს არსებული კვლევითი მასალების ყველაზე ეფექტურად გამოყენებისთვის.

წინამდებარე სახელმძღვანელოს უახლესი PDF ვერსია ხელმისაწვდომია აქ:
www.echr.coe.int/Documents/CLIP_Finding_understanding_case_law_ENG.pdf

სახელმძღვანელო შეიცავს სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული სხვადასხვა მასალების ჰიპერბმულებს.

## a. თარგმანები

ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → პრეცედენტული სამართალი → HUDOC→ პრეცედენტული სამართლის თარგმანები

ინდივიდუალური საქმის თარგმანის მოძიებისთვის გამოიყენეთ HUDOC-ECHR მონაცემთა ბაზის ენის ფილტრი; ან დააწკაპუნეთ ღილაკზე „სხვა ენები“, რომელსაც დაინახავთ შედეგების გვერდზე. აღნიშნული ღილაკი გადაგიყვანთ გვერდზე, სადაც ხელმისაწვდომია დოკუმენტები ინგლისურად და ფრანგულად (ევროპის საბჭოს ოფიციალური ენები), თარგმანები სხვა არაოფიციალურ ენებზე და მესამე მხარის ინტერნეტ-საიტების არა-ამომწურავი ჩამონათვალის ბმულები, რომლებიც შეიცავს თარგმნილ დოკუმენტებს. არაოფიციალურ ენებზე სამართლებრივი შეჯამებები ხელმისაწვდომია სექციაში „სამართლებრივი შეჯამებები არაოფიციალურ ენებზე“, „დოკუმენტების კრებულის“ ქვეშ.

ევროპული სასამართლოს ცოდნის გაზიარების პლატფორმა (ECHR-KS) ხელმისაწვდომი გახდა რუმინულ, თურქულ და უკრაინულ ენებზე 2025 წლის 27 თებერვლიდან.

მიმდინარე თარგმანების ცხრილში წარმოდგენილია ყველა იმ ანალიტიკური მასალის ჩამონათვალი, რომლებიც ამჟამად ითარგმნება სხვადასხვა ენებზე (გარდა ინგლისურისა და ფრანგულისა).

გამომცემლები და ორგანიზაციები, რომელთაც სურთ სასამართლოს დოკუმენტების რეპროდუცირება (ან თარგმნა), ბეჭდურ ან ონლაინ ფორმატში, უნდა მოითხოვონ ავტორიზაცია ონლაინ ფორმის გამოყენებით.

## b. სოციალური ქსელები

სასამართლოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ინგლისურ და ფრანგულ ენებზე შეგიძლიათ გაეცნოთ სოციალური ქსელების მეშვეობით:

- ✓ ECHR_CEDH - ის პროფილი X-ზე, ყოფილი ტვიტერი (https://x.com/ECHR_CEDH),
- ✓ echr.coe.int – ის პროფილი ბლუსქაიზე (https://bsky.app/profile/echr.coe.int)

## c. ოფიციალური ტექსტები

ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესახებ ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → ოფიციალური ტექსტები → ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

ეს გვერდი იძლევა, *inter alia,* კონვენციის ინგლისურ და ფრანგულ ვერსიებზე და არაოფიციალურ ენებზე თარგმანებზე და ევროპის საბჭოს ხელშეკრულების ოფისზე წვდომას.

სასამართლოს რეგლამენტი ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → ოფიციალური ტექსტები → სასამართლოს რეგლამენტი.

## d. ბიბლიოთეკა

ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → ბიბლიოთეკა

კატალოგისა და დეტალური ძიების საშუალებით, სასამართლოს ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ინფორმაციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით ადამიანის უფლებების შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე.

## 2. HUDOC-ECHR მონაცემთა ბაზა

ხელმისაწვდომია აქ: http://hudoc.echr.coe.int/eng




- HUDOC-ECHR მონაცემთა ბაზა უზრუნველყოფს წვდომას:
  - ✓ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის, პალატის და კომიტეტის გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე, კომუნიცირებულ საქმეებზე, საკონსულტაციო დასკვნებზე და სამართლებრივ შეჯამებებზე;
  - ✓ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადაწყვეტილებებზე და ანგარიშებზე;
  - ✓ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციებზე.

➢ მახასიათებლები:
  - ✓ ინტერფეისი ინგლისურ, ფრანგულ, სომხურ, ბულგარულ, ქართულ, რუმინულ, რუსულ, ესპანურ, თურქულ და უკრაინულ ენებზე
  - ✓ საძიებო ფილტრები
  - ✓ გაფართოებული ძიების შესაძლებლობა
  - ✓ საკვანძო სიტყვები, რომლებიც მსგავსი სამართლებრივი შინაარსის მქონე დოკუმენტთა ჯგუფის მოძიების შესაძლებლობას იძლევა
  - ✓ მუხლებთან და საკვანძო სიტყვებთან დაკავშირებული დასკვნები
  - ✓ შეუზღუდავი შედეგები, შედეგების შენახვის და დაბეჭდვის შესაძლებლობა
  - ✓ საქმის სამართლებრივ შეჯამებასთან დაკავშირებული შედეგები, თუ იგი შერჩეულია მისი სამართლებრივი მნიშვნელობის გამო
  - ✓ გადაწყვეტილებების, განჩინებების, საკონსულტაციო დასკვნების და სამართლებრივი შეჯამებების თარგმანი ევროპის საბჭოს არა-ოფიციალურ ენებზე.

➢ **საკვანძო სიტყვების ჩამონათვალი**, **მომხმარებლის სახელმძღვანელო** და **ინსტრუქციები** ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → პრეცედენტული სამართალი → HUDOC

შეგიძლიათ გამოიწეროთ **HUDOC-ECHR გადაწყვეტილებების და განჩინებების RSS გვერდები (ფიდი)** იმისათვის, რომ მიიღოთ ინფორმაცია HUDOC-ECHR მონაცემთა ბაზაში

გამოქვეყნებული ახალი დოკუმენტების შესახებ. აღნიშნული გვერდების გამოწერაში დაგეხმარებათ შესაბამისი ინსტრუქციები.

# 3. სამართლებრივი შეჯამებები

HUDOC-ECHR მონაცემთა ბაზაში სამართლებრივი შეჯამებების ქვეშ და მისამართზე www.echr.coe.int, მთავარ გვერდზე (გვერდის ქვედა ნაწილში) ხელმისაწვდომია:

- საქმეების (გადაწყვეტილებების, განჩინებების და კომუნიცირებული საქმეების) სამართლებრივი შეჯამებები , კონკრეტული ინტერესის გათვალისწინებით:
  - ✓ ფაქტებისა და კანონის მოკლე პრეზენტაცია, სადაც ხაზგასმულია სასამართლოს სამართლებრივი არგუმენტები
- კლასიფიცირებულია მუხლებისა და საკვანძო სიტყვების მიხედვით და აქვს აღწერილობითი ანოტაციებით

- ➢ ონლაინ პლატფორმაზე განთავსება ხდება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ან განჩინების მიღების დღეს
- ➢ 1988 წლიდან დღემდე
- ➢ ხელმისაწვდომია ინგლისურად და ფრანგულად
- ➢ სამართლებრივი შეჯამებები არაოფიციალურ ენებზე ხელმისაწვდომია HUDOC-ECHR მონაცემთა ბაზაში, „NOL Legal Summaries" სექციაში [სამართლებრივი შეჯამებები არაოფიციალურ ენებზე], „დოკუმენტების კრებულის" ქვეშ.

## 4. ECHR-ის ცოდნის გაზიარების პლატფორმა (ECHR-KS)

ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → პრეცედენტული სამართალი → ECHR-KS → საწყისი გვერდი

ECHR-KS-ს მისია მოიცავს კონვენციასთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის შესახებ ცოდნის გაზიარებას, არსებულ საინფორმაციო ინსტრუმენტებზე დამატებით, როგორიცაა HUDOC-ECHR.

- პლატფორმის საწყისი გვერდია KS **Gateway**.
- პლატფორმაზე წარმოდგენილია პრეცედენტული სამართლის სფეროში განვითარებების უახლესი ანალიზი, თემატური და კონტექსტური ფორმით, კონვენციის მუხლებისა და გამჭოლი თემების მიხედვით. რეგისტრატურის მიერ მომზადებული მასალები გამდიდრებულია პრეცედენტულ სამართალთან დაკავშირებული ზოგადი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტებით და ბმულებით.
- ➢ ვიდეო ინსტრუქციები შეიცავს ECHR-KS პლატფორმის გზამკვლევს.
- ➢ პლატფორმაზე ინგლისურ და ფრანგულ ენაზე წარმოდგენილი მასალები ყოველკვირეულად ახლდება.
- ➢ პლატფორმა ხელმისაწვდომი გახდა რუმინულ, თურქულ და უკრაინულ ენებზე 2025 წლის 27 თებერვლიდან.




- თითოეული მუხლის ან გამჭოლი თემის შესახებ გვერდზე თქვენ იხილავთ:
  - ✓ **პრეცედენტული სამართლის სახელმძღვანელოს,** რომელიც შეიცავს შესაბამისი მუხლის / გამჭოლი თემის შესახებ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვას;
  - ✓ **მუხლის / გამჭოლი თემის შესახებ სიახლეებს,** რაც მოიცავს იურისპრუდენციული მნიშვნელობის საქმეებს, რომლებიც პრეცედენტული სამართლის სახელმძღვანელოს განახლებისთვის შეირჩა. სიახლეებში თითოეულ საქმესთან დაკავშირებით მითითებულია: HUDOC-ECHR-თან დაკავშირებული საქმის დასახელება; მოკლე აღწერა; განახლებული პრეცედენტული სამართლის ბმული, ასეთის არსებობის შემთხვევაში; სამართლებრივი შეჯამების ბმული, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
  - ✓ **ძირითადი თემები,** რაც მოიცავს საქმეთა ანოტირებულ ჩამონათვალს შესაბამის მუხლთან / გამჭოლ თემასთან დაკავშირებულ საკითხზე;
  - ✓ **სასარგებლო მასალებს** და **ბმულებს.**

# ECHR-KS

Search...

ECHR-KS > **Article 3**

## Article 3 - Prohibition of torture

### Case-Law Guide

The Case-Law Guide provides an overview of Convention case-law on this Article.

Guide on Article 3 (31/08/23)

### Article Updates

Cases selected for updating the Case-Law Guide.

**M.G. v. Lithuania, no. 6406/21**

20/02/24

The particular vulnerability of a child during excessively long criminal proceedings regarding an attempted sexual assault.

Judgment

**Vučković v. Croatia, no. 15798/20**

12/12/23

Commutation of a ten-month prison sentence imposed on the applicant's co-worker to community service, after he had been convicted of sexual violence against her.

Judgment | Legal Summary

**Lapunov v. Russia, no. 28834/19**

12/09/23

Abduction, detention and torture of applicant by State agents in Chechnya on account of his sexual orientation and no effective investigation into the matter.

Judgment | Legal Summary

View all Article 3 Updates

### Key Themes

Annotated case-lists on a subject of relevance to this Article.

- The minimum level of severity test in light of *Bouyid v. Belgium* (29/02/24)

**Related Key Theme(s) from other Article / Transversal Theme pages**

- Detention of migrant children (Immigration) (29/02/24)
- Discrimination through violence (Article 14) (29/02/24)
- Domestic violence (Article 2) (29/02/24)
- Health and immigration (Immigration) (29/02/24)
- Summary returns of migrants and/or asylum-seekers ("push-backs") (Immigration) (29/02/24)

### Useful Materials

Selected case-law materials concerning this Article.

- Travaux Préparatoires to the Convention +
- Selection of Books and Articles +
- Press Factsheets +

### Useful Links

Links to selected websites of relevance to this Article.

- Council of Europe +
- United Nations +
- European Union +
- Other +

## a. პრეცედენტული სამართლის სახელმძღვანელოები

ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → პრეცედენტული სამართალი → ECHR-KS → საწყისი გვერდი → პრეცედენტული სამართლის სახელმძღვანელოები

- პრეცედენტული სამართლის სახელმძღვანელოები შეიცავს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კომპლექსურ მიმოხილვას კონკრეტული მუხლის / გამჭოლი თემის შესახებ. ისინი ახდენს პრეცედენტული სამართლის სფეროში არსებული განვითარებების კონტექსტუალიზებას.
- საქმეების მაგალითებს და მითითებებს HUDOC-ECHR მონაცემთა ბაზაზე.

➢ ხელმისაწვდომია ინგლისურ, ფრანგულ და ევროპის საბჭოს სხვადასხვა არაოფიციალურ ენებზე.
➢ ინგლისური და ფრანგული ვერსიების განახლება ხდება ექვს თვეში ერთხელ.

### i. სახელმძღვანელოები კონვენციისა და კონვენციის ოქმების მუხლების მიხედვით

✓ მუხლი 1 – ადამიანის უფლებათა დაცულობის ვალდებულება
✓ მუხლი 2 – სიცოცხლის უფლება
✓ მუხლი 3 – წამების აკრძალვა
✓ მუხლი 4 – მონობის და იძულებითი შრომის აკრძალვა
✓ მუხლი 5 – თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება
✓ მუხლი 6 (სამოქალაქო ასპექტი) და მუხლი 6 (სისხლის სამართლის ასპექტი) – საქმის სამართლიანი განხილვის უფლება
✓ მუხლი 7 – არავითარი სასჯელი კანონის გარეშე
✓ მუხლი 8 – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება
✓ მუხლი 9 – აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება
✓ მუხლი 10 – გამოხატვის თავისუფლება
✓ მუხლი 11 – შეკრების და გაერთიანების თავისუფლება
✓ მუხლი 12 – ქორწინების უფლება
✓ მუხლი 13 – სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება
✓ მე-12 ოქმის მე-14 და 1-ლი მუხლები – დისკრიმინაციის აკრძალვა
✓ მუხლი 15 – კონვენციიდან გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს
✓ მუხლი 17 – უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა
✓ მუხლი 18 – უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები
✓ მუხლი 34/35 – ინდივიდუალური საჩივარი / მისაღებობის წინაპირობები
✓ მუხლი 46 – გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება
✓ 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი – საკუთრების დაცვა
✓ 1-ლი ოქმის მე-2 მუხლი – განათლების უფლება
✓ 1-ლი ოქმის მე-3 მუხლი – თავისუფალი არჩევნების უფლება
✓ მე-4 ოქმის მე-2 მუხლი – მიმოსვლის თავისუფლება
✓ მე-4 ოქმის მე-3 მუხლი – მოქალაქეთა გაძევების აკრძალვა
✓ მე-4 ოქმის მე-4 მუხლი – უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა
✓ მე-7 ოქმის 1-ლი მუხლი – უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიები
✓ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი – ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა

### ii. სახელმძღვანელოები გამჭოლი თემების შესახებ

✓ ევროპული სასამართლო / ევროკავშირი
✓ მონაცემთა დაცვა
✓ გარემოს დაცვა
✓ იმიგრაცია

- ✓ მასობრივი პროტესტი
- ✓ პატიმართა უფლებები
- ✓ ლგბტი ადამიანების უფლებები
- ✓ სოციალური უფლებები
- ✓ ტერორიზმი

## b. საკვანძო თემები

ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → პრეცედენტული სამართალი → ECHR-KS → Gateway → საკვანძო თემები

- კონკრეტულ მუხლთან/გამჭოლ თემასთან დაკავშირებული ზოგადი ან ვიწრო საკითხის შესახებ საქმეთა ანოტირებული ჩამონათვალი
- წარმოადგენს სახელმძღვანელოს დამატებას

✓ არ გამოცხადებული მოწმეები და მოწმის დაკითხვის უფლების სხვა შეზღუდვები
✓ ადვოკატზე წვდომა
✓ (უკანონოდ მოპოვებული) მტკიცებულების ადმინისტრირება
✓ ჩარიცხვის კრიტერიუმები და მისაღები გამოცდები
✓ არბიტრაჟი
✓ რელიგიური ორგანიზაციების ავტონომია
✓ საკუთრების bona fide / კეთილსინდისიერი შემძენი
✓ აქტივების კონფისკაცია / ჩამორთმევა
✓ საკონსტიტუციო სამართალწარმოება
✓ წვლილი საზოგადოებრივ დისკუსიაში: ჟურნალისტები და სხვა აქტორები
✓ მიგრანტი ბავშვების დაკავება
✓ დისკრიმინაცია და იმიგრაცია
✓ დისკრიმინაცია განათლებაზე წვდომაში
✓ დისკრიმინაცია ძალადობრივი გზით
✓ ყმობა
✓ ოჯახში ძალადობა
✓ ევროპული სასამართლოს წამყვანი გადაწყვეტილებები ევროკავშირის სამართალზე
✓ დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვა/ოთხი თვის წესთან შესაბამისობა
✓ დედობის / მამობის დადგენა
✓ გენდერული თანასწორობა
✓ სიძულვილის ენა
✓ ჯანმრთელობა და იმიგრაცია
✓ ჯანდაცვა პენიტენციურ დაწესებულებაში
✓ სასამართლო სხდომების ჩატარება დისტანციურად
✓ საერთაშორისო დანაშაულები
✓ მოკლევადიანი დაკავებების ზედამხედველობა სასამართლოს მიერ
✓ მასობრივი პროტესტები და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება
✓ სამედიცინო გულგრილობა
✓ ეროვნება
✓ სააპელაციო სხდომაზე დასწრება პირველ ინსტანციაში გამამართლებელი განაჩენის შემდეგ
✓ უდანაშაულობის პრეზუმფცია
✓ პატიმრები და დისკრიმინაცია
✓ სიძულვილის ენისგან დაცვა
✓ ჟურნალისტების და ჟურნალისტური საქმიანობის დაცვა
✓ სასამართლოს დაცვა
✓ არასრულწლოვნის წარმომადგენლობა ევროპული სასამართლოს წინაშე
✓ არასრულწლოვნის უფლება, მოუსმინონ მას საოჯახო საკითხებზე ეროვნულ დონეზე მიმდინარე სამართალწარმოებაში
✓ სუიციდი
✓ მიგრანტების ან/და თავშესაფრის მაძიებლების დაჩქარებული დაბრუნება ("push-backs")
✓ სუროგაცია
✓ სათვალთვალო ზომები
✓ ნათესავების უფლება, მიმართონ სასამართლოს (ირიბი მსხვერპლები)
✓ წარმომადგენელთა უფლება, მიმართონ სასამართლოს
✓ *Bouyid v. Belgium-ის მიხედვით მინიმალური სიმძიმის ტესტი*
✓ თავისუფლების აღკვეთის ცნება
✓ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის წინასწარი გადაწყვეტილების გამოსატანად მიმართვაზე უარის დასაბუთების წარდგენის ვალდებულება
✓ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება იცავს ან ზღუდავს საზოგადოებრივი გუშაგების როლს
✓ ადვოკატთა როლი სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში
✓ დაზარალებულის სტატუსი მე-5 მუხლთან დაკავშირებით (დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალება)
✓ სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის გარანტიებზე უარის თქმა
✓ რელიგიური სიმბოლოების ტარება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში

## c. განახლებები პრეცედენტული სამართლის შესახებ

ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → პრეცედენტული სამართალი → ECHR-KS → საწყისი გვერდი → განახლებები პრეცედენტული სამართლის შესახებ

### i. დიდი პალატის გადაწყვეტილებები და განჩინებები

- ცხრილი შეიცავს დიდი პალატის გადაწყვეტილებების და განჩინებების ჩამონათვალს, 1994 წლიდან.
- მასში ხაზგასმულია დიდი პალატის თითოეული გადაწყვეტილების თემა და დასკვნა.

➢ ხელმისაწვდომია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და რეგულარულად განახლებადია.

### ii. დიდი პალატის მიმდინარე საქმეები

- ცხრილი შეიცავს დიდი პალატის მიმდინარე საქმეების ჩამონათვალს.
- მასში მითითებულია დიდი პალატა საქმეს იხილავს პალატის მიერ იურისდიქციის დათმობის თუ საქმის დიდი პალატისთვის გადაცემის თხოვნის დაკმაყოფილების შედეგად, სხდომის თარიღი, საქმის აღწერა და კონვენციის შესაბამისი მუხლი.

➢ ხელმისაწვდომია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და რეგულარულად განახლებადია.

### iii. მიმდინარე სახელმწიფოთაშორისი საქმეები

- ცხრილი შეიცავს მიმდინარე სახელმწიფოთაშორისი საქმეების ჩამონათვალს.
- მასში მითითებულია საქმის შეტანის თარიღი, სხდომის თარიღი, დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღი (გადაწყვეტილების ბმული), საქმის აღწერა და კონვენციის შესაბამისი მუხლი.

iv. ხელმისაწვდომია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და რეგულარულად განახლებადია.

### v. მე-16 ოქმის თანახმად წარდგენილი მოთხოვნები საკონსულტაციო დასკვნის გაცემის თაობაზე

- ცხრილი შეიცავს მე-16 ოქმის თანახმად საკონსულტაციო დასკვნის გაცემის თაობაზე წარდგენილი მოთხოვნების ჩამონათვალს.
- მასში მითითებულია, თუ რომელმა სასამართლომ მოითხოვა საკონსულტაციო დასკვნა, მოთხოვნა დაკმაყოფილდა თუ უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, მოთხოვნის აღწერა, კონვენციის შესაბამისი მუხლი, დასკვნის მიღების თარიღი და სასამართლოს დასკვნა.

vi. ხელმისაწვდომია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და რეგულარულად განახლებადია.

### vii. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა

ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → პრეცედენტული სამართალი → ECHR-KS → საწყისი გვერდი → განახლებები პრეცედენტული სამართლის შესახებ → პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა




- იურისტკონსულტანტის თავი სასამართლოს ყოველწლიურ ანგარიშში, სადაც წარმოდგენილია გადაწყვეტილებები და განჩინებები, რომლებიც წარმოშობენ ახალ საკითხებს ან ზოგადი ინტერესის მნიშვნელოვან საკითხებს, ადგენენ ახალ პრინციპებს ან ახდენენ სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარებას ან განმარტებას.

- ხელმისაწვდომია ინგლისურ, ფრანგულ და ევროპის საბჭოს სხვა არაოფიციალურ ენებზე.
- ყოველწლიური ანგარიში ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → სასამართლო → ყოველწლიური ანგარიშები



### viii. ძირითადი საქმეების კრებული (გადაწყვეტილებები, განჩინებები და სარეკომენდაციო დასკვნები)

ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → პრეცედენტული სამართალი → ECHR-KS → საწყისი გვერდი → სიახლეები პრეცედენტული სამართლის შესახებ → ძირითადი საქმეების კრებული

- გადაწყვეტილებების, განჩინებების და სარეკომენდაციო დასკვნების ოფიციალური კრებული (დაახლოებით 30 საქმე წელიწადში), რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პრეცედენტული სამართლის განვითარებაში, განმარტებასა და მოდიფიკაციაში.

➢ 2015 წლამდე, საქმეები ქვეყნდებოდა *გადაწყვეტილებების და განჩინებების ანგარიშებში,* სრული ტექსტების ან ამონარიდების სახით. გადაწყვეტილებები დახარისხებული იყო მუხლების, საკვანძო სიტყვების და ძირითადი ცნებების მიხედვით და წინ უძღოდა შენიშვნები და რეზიუმე.
  - ✓ ორენოვანი პუბლიკაცია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე
  - ✓ ელექტრონული ანგარიშების ჩამოტვირთვა შესაძლებელია PDF ვერსიაში

➢ 2016 წლიდან, საქმეების გამოქვეყნება ხდება ძირითადი საქმეების ყოველწლიურ ჩამონათვალში და ისინი დახარისხებულია მუხლების მიხედვით, ანბანურად (მომჩივნების და მოპასუხე სახელმწიფოების მიხედვით) და შეიცავს სამართლებრივი შეჯამებების ბმულს.




➢ HUDOC-ECHR მონაცემთა ბაზაში, მნიშვნელოვანი საქმეები, რომელიც აღნიშნულია Key Case ან Published in Case Reports სიმბოლოებით, წარმოდგენილია „მნიშვნელოვნების“ სექციაში, „ძირითადი საქმეების“ კატეგორიის ქვეშ.

## d. სასარგებლო მასალები

ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → პრეცედენტული სამართალი → ECHR-KS → საწყისი გვერდი → სასარგებლო მასალები

### i. კონვენციის მოსამზადებელი მასალები

- კონვენციის მოსამზადებელი მასალები

### ii. ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენები პრეცედენტული სამართლის შესახებ

- პრეცედენტული სამართლის საინფორმაციო ბიულეტენები შეიცავს სასამართლოს მიერ განხილული საქმეების რეზიუმეებს, თვეების მიხედვით, 1998 წლის ნოემბრიდან 2022 წლის სექტემბრამდე და ყოველწლიურ ინდექსს

#### iii. წიგნების და სტატიების კრებული

- წიგნების კრებული / სტატიების კრებული ზოგად საკითხებზე ან კონკრეტული მუხლის / გამჭოლი თემის შესახებ

#### iv. ფაქტობრივი მონაცემები

ასევე, ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → პრეცედენტული სამართალი → ფაქტობრივი მონაცემები

- ფაქტობრივ მონაცემებში შეჯამებულია სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და მიმდინარე საქმეები სხვადასხვა თემებზე: დაკავება, ჯანმრთელობა, გადასახადები, ინტერნეტი და ა.შ.

➢ დაახლოებით 80 დოკუმენტი
➢ შეიცავს პრეს-რელიზების ბმულებს
➢ ხელმისაწვდომია ინგლისურ, ფრანგულ და ევროპის საბჭოს სხვადასხვა არაოფიციალურ ენებზე

### e. სასარგებლო ბმულები

ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → პრეცედენტული სამართალი → ECHR-KS → საწყისი გვერდი → სასარგებლო ბმულები

- კონვენციასთან დაკავშირებული ვებსაიტების ბმულები, მათ შორის, ევროპის საბჭოს, გაეროს, ევროკავშირის და სხვა ვებსაიტების ბმულები.

## 5. ევროპული სამართლის სახელმძღვანელოები

ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → პრეცედენტული სამართალი → ერთობლივი პუბლიკაციები




- სახელმძღვანელოები სხვადასხვა თემებზე:
  - ✓ დისკრიმინაციის აკრძალვა
  - ✓ მონაცემთა დაცვა
  - ✓ მართლმსაჯულებაზე წვდომა
  - ✓ თავშესაფარი, საზღვრები და იმიგრაცია
  - ✓ ბავშვის უფლებები

- გამოქვეყნებულია ერთობლივად ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს (FRA), ევროპის საბჭოს და სასამართლოს მიერ
- ხელმისაწვდომია ბევრ ენაზე

## 6. ვიდეოები

ხელმისაწვდომია აქ: www.echr.coe.int → პრეცედენტული სამართალი → ვიდეოები

- მოკლე ვიდეოები, რომლებიც ეხება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ზოგიერთ ასპექტებს
- განკუთვნილია ფართო აუდიტორიისთვის, ისევე, როგორც იურისტებისთვის

➢ ხელმისაწვდომია ინგლისურად და ფრანგულად

✓ სიძულვილის ენა
✓ დაკავების პირობები
✓ მონიტორინგი სამუშაო ადგილას
✓ სტამბოლის კონვენცია
✓ სექსუალური ორიენტაცია
✓ ბავშვები
✓ გარემოს დაცვა
✓ კლიმატის ცვლილება

## 7. რჩევები, თუ როგორ გამოვიყენოთ ხელმისაწვდომი მასალები ყველაზე ეფექტურად

### a. კონკრეტული საქმის მოძიება

❖ **HUDOC-ECHR მონაცემთა ბაზა**, საქმის დასახელების ან საჩივრის ნომრის მიხედვით

### b. საქმეების მოძიება მუხლის, საკვანძო სიტყვის ან თემის მიხედვით

❖ **HUDOC-ECHR მონაცემთა ბაზა**
❖ **ECHR-KS**
❖ **პრეცედენტული სამართლის სახელმძღვანელოები**
❖ **ძირითადი თემები**
❖ **სამართლებრივი შეჯამებები** (1988 წლიდან დღემდე)
❖ **ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენები პრეცედენტული სამართლის შესახებ** და საქმეთა ყოველწლიური ინდექსი, ისევე, როგორც სამართლებრივი შეჯამებები, რომლებიც ატვირთულია HUDOC-ECHR მონაცემთა ბაზაში (1998 წლის ნოემბრიდან 2022 წლის სექტემბრამდე)
❖ **თემატური ფაქტობრივი მონაცემები**
❖ **ევროპული სამართლის სახელმძღვანელოები**
❖ **ვიდეოები**

### c. ინფორმაცია ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეების შესახებ, წლების მიხედვით

❖ **ECHR-KS**
❖ **ძირითადი საქმეების კრებული**
❖ **სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა**

- ❖ **პრეცედენტული სამართლის შესახებ საინფორმაციო ბიულეტენების წლიური ინდექსი** (1998 წლიდან 2022 წლამდე)

## d. ინფორმაცია დასაშვებობის კრიტერიუმების შესახებ

- ❖ **ECHR- KS / მუხლი 34/35 – ინდივიდუალური საჩივრები და დასაშვებობის კრიტერიუმები**

## e. მასალების მოძებნა ინგლისური და ფრანგულის გარდა სხვა ენაზე

- ❖ **HUDOC-ECHR მონაცემთა ბაზა**
  - ✓ **ინდივიდუალური საქმის** მასალებისთვის გამოიყენეთ ენის ფილტრი; ან დააჭირეთ "ენის ვერსიებს", რომელიც გამოჩნდება შედეგების ეკრანზე
  - ✓ **სამართლებრივი შეჯამება** არაოფიციალურ ენების ჩამონათვალში
  - ✓ **ინტერფეისი** სომხურ, ბულგარულ, ქართულ, რუმინულ, რუსულ, ესპანურ, თურქულ და უკრაინულ ენებზე
  - ✓ **საძიებო სიტყვები** სომხურ, ბულგარულ, ქართულ, რუმინულ, რუსულ, ესპანურ, თურქულ და უკრაინულ ენებზე
- ❖ ცოდნის გაზიარების პლატფორმა **ECHR-KS**
  - ✓ **პრეცედენტული სამართლის სახელმძღვანელოები** სხვა ენების ჩამონათვალში
  - ✓ **საკვანძო თემები** სხვა ენების ჩამონათვალში
  - ✓ **ECHR-ის ცოდნის გაზიარების პლატფორმა (ECHR-KS)** ხელმისაწვდომია რუმინულ, თურქულ და უკრაინულ ენებზე
- ❖ **თემატური ფაქტობრივი მონაცემები** არაოფიციალური ენების სიაში
- ❖ **ევროპული სამართლის სახელმძღვანელოები** სხვა ენების ჩამონათვალში